განკარგულება:**g-81.8122278001**
თარიღი:**05/10/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №53

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. №39 მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მუსიკალური სკოლის შენობის (ს/კ - 89.03.24.001) ნაწილის 29.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.დ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად, ი/მ ,,ომარი დოღონაძის“ (პ/ნ 60001044858; უძრავის ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი Nა-0827) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ 2022 წლის 26 სექტემბრის №30 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. №39 მდებარე მუსიკალური სკოლის შენობის (ს/კ - 89.03.24.001) ნაწილის 29.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა-1200 (ათას ორასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა-100 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com